

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

“სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე

1. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა. კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონი მიღების მიზეზია, ქ. თბილისში ქალაქმშენებლობითი პროცესის აქტივობა, რომელიც თავის მხრივ მოითხოვს ქ. თბილისის მთავრობის მიერ ადექვატური და დროული ადმინისტრირების შესაბამისი მექანიზმების გამოყენებას, რაც გულისხმობს იმ სხვადასხვა ქალაქმშენებლობითი ღონისძიებების ქ. თბილისის მთავრობის მიერ დამტკიცებას, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული პროცესის ნორმალურ მიმდინარეობას.

არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის კოორდინაციისა და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის ფუნქცია “მშენებლობის ნებართვის შესახებ” საქართველოს კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, გააჩნია ქ. თბილისის მთავრობის შესაბამის სამსახურს გამომდინარე აქედან, დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ღონისძიებების დამტკიცების უფლებამოსილებაც უნდა გააჩნდეს ქ. თბილისის მთავრობას, რადგან ქ. თბილისის სივრცითი მოწყობა და ქალაქმშენებლობა მოექცეს ერთიანი ადმინისტრირების სისტემაში.

ბ. კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის ღონისძიებები და ქ. თბილისის განაშენისანების რეგულირების გენერალური გეგმა. სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის ღონისძიებები დაამტკიცოს თვითმმართველობის აღმასრულებელმა ორგანომ, ხოლო გენერალური გეგმა თვითმმართველობის წარმომადგენლობითმა ორგანომ.

გ. კანონპროექტის ძირითადი არსი

სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის ღონისძიებები დაამტკიცდება თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, ხოლო განაშენისანების გენერალური გეგმა თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს მიერ.

2. კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ა. კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო
კანონპროექტის მიღება დაკავშირებული არ არის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან.

ბ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

გ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

დ. სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

სახელმწიფოს რაიმე, ახალი ფინანსური ვალდებულება არ უჩნდება.

ე. კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

ვ. კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი

3. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

ა. კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტის შინაარსი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

ბ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ. კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

4. კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტის მომზადების პროცესში ჩატარდა კონსულტაციები აღმასრულებელ ხელისუფლებასთან;

ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი შეფასებები კანონპროექტს არ გააჩნია.

გ) კანონპროექტის ავტორი;

კანონპროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მერია;

დ) კანონპროექტის ინიციატორი;

საქართველოს პარლამენტის წევრი ალექსანდრე შალამბერიძე;